კავშირი „ახალი ხელოვნება“ და „ელიტ ელექტრონიქსი“

მოზარდთა ლიტერატურული კონკურსი

# ალუბლობა 2007

პოეზია

თბილისი

2007

**კონკურსის დირექტორი**
რუსუდან ოატ
/ კავშირი „ახალი ხელოვნება“, თავმჯდომარე /

**კოორდინატორი**
ლიკა მეგრელაძე
/ კავშირი „ახალი ხელოვნება“ /

**კონკურსის სამხატვრო ხელმძღვანელი**
მანანა ბეგიაშვილი
/ კავშირი „ახალი ხელოვნება“ /

„ელიტ ელექტრონიქსი“
ეთერ ქოქოლაძე / **დირექტორი** /

**ჟიური**
გიორგი ლობჟანიძე, ლელა ოჩიაური,
რუსუდან კაიშაური, გაგა ლომიძე, ირაკლი კაკაბაძე

**რედაქტორი**
ქეთი ჯაყელი, მაია როსტიაშვილი

**დიზაინი** ინგა პეტრიაშვილი, მიხეილ ქობულაძე


**კავშირი „ახალი ხელოვნება“**
ორბელიანის ქ. 31 თბილისი 0105 საქართველო
ტელ./ფაქსი: 995 32 987544
**www.newart.org.ge www.alubloba.org.ge**

**„ელიტ ელექტრონიქსი“**
**www.elitelecronic.ge**

ჩვენ ირგვლივ მუდამ რაღაც ხდება. ამ ქაოსში ძნელია ყვე-ლაფერს თავისი ადგილი მიუჩინო. როცა წერ (სულერთია, რაზეც უნდა წერდე), ძალაუნებურად წამოტივტივდება და ფრაზაში გამოჟონავს ის, რამაც შენზე იმოქმედა. მაშინ კი შენსა და მომხდარს შორის რაღაცნაირი დისტანცია ჩნდება და, იმავე დროს, კავშირიც იბმება. გარედან დანახული ნებისმიერი პრობლემა, ფაქტი უკვე ისე რთული აღარაა: უკეთ შეგიძლია დააკვირდე და მიხვდე, რა გინდა, რატომ და, საერთოდ, რა ხდება შენში და შენ გარშემო.

ამიტომ, ვინც წერს, მისთვის ეს სამყარო ისეთი ცივი და მიუსაფარი აღარაა, არამედ ცოცხალია, ხილული. მათ გაფაქიზებუ-ლი აქვთ სულები და ეძებენ თანამოაზრეებს, რადგან იტანჯებიან შინაგანი მარტოობით.

ჩვენი კონკურსი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. აქ არა-მარტო ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ხდება, არამედ „ალუბლობა“ გარკვეული ხიდიცაა ადამიანებს შორის, რადგან როცა ვინმეს ნაწერს კითხულობ და სხვის ფრაზაში ამოკითხულ განწყობასთან შეხებას გრზნიბ, უკვე შინაგანად თბები, რადგან, გრძნობ, რომ მარტო შენ არა ხარ ამ დღეში, სხვასაც სტკივა, ეშინია, უხარია, ფიქრობს...

ადამიანებს საერთო მიწა, ჰაერი და ცა აქვთ, ამ კონკურ-სის მონაწილეები თითქოს ერთი ორდენის წევრები არიან. ისინი პოულობენ ახალ იმპულსებს, ისვენებიან, იზრდებიან... ამიტომაც, მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა.

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ „ალუბლობის“ შემოქმედებითი და ლიტერატურული დონე წლიდან წლამდე უმჯობეს-დება.

წლევანდელ „ალუბლობაზე“ წინა ორისაგან განსხვავებით მარტო პროზა არ იყო წარმოდგენილი; გადავწყვიტეთ, მასში პოეზიაც ჩაგვერთო, რადგან ჩავთვალეთ, რომ ლექსებისთვისაც მომწიფდა ნიადაგი.

**მანანა ბეგიაშვილი**

## ელენე ფასური

* * *

თქვი:
მახსოვს
მახსოვს
მახსოვს
და გადიდდეს გუგა, ნაწვიმარ ხელისგულს მიჩერებული,
როცა მატარებლები ჯიძალვით შეგიჯრავენ წრეს,
ნელა ივლიან გარშემო,
ლამპიონები თავს დაგირხიან მიმავალს,
ფეხთან დაგებნევა მჯვდარი ჰაერის მოლეკულები
და შენი ტუჩის კუთხეები მოხაზავს
ბავშვობაში ნანახ მაღალ შენობებსა
და ცას...
მზენაყლაპ ქალაქს დაუმშვიდდება ნერვები, მიეძინება.
თქვი:
მახსოვს
მახსოვს
მახსოვს
და გაფართოვდეს გუგა!
თქვი იმდენჯერ, რამდენი საყვარელი სიმღერაც მოგბეზრებია,
რამდენ გამვლელზეც ჩაფიქრებულხარ,
რამდენჯერაც შემთხვევით დაგინახივარ
ქალაქში ჩაყვინთული,
ჩაძირული გემებით მოსერინე.
წყლის ფარდებს იქით მოიგონე მშვიდი მანძილი,
ისე ცივი და უზუსტესად სიმეტრიული,
რომ გტკიოდა გუგა!
თქვი, როცა სახლში ჩაგიქრება შუქი
და ყველაფერი ნათელი იქნება,

მზერა ათასი პლაზმისა და ხელისგულს შორის ნამგზავრი
მიეხეთქება მიგდებული ქარხნების რკინებს
და ექო მოგიტანს სიტყვებს:
მახსოვს
მახსოვს
მახსოვს
მოდგაფუნე მტრედების ნაცრისფერი კვალი ჰაერში,
შენი სახლის ძებნა სხვისი მაღალი სართულიდან,
მიმავალი ტროტუარის ხაზები მგზავრობისას,
დაორთქლილი მინების მყუდრო,
დანამული გუგის შვება,
თქვი:
მახსოვს
მახსოვს
მახსოვს
და დაკეცე ქუთუთო.

## დრო

მადროვე, –
რა უბრალოდ ისმის, მესაათევ!
ან რა უდროოდ შეგეჩხე,
ანდა როგორი მედროვე ვარ!

როცა ჩემი კვარცის სტიგმატიდან
მარჯვენა მაჯაზე
წამები გათეთრებამდე იღვრებოდა,
ო, რა ქანქარასავით ვეხეთქებოდი აქეთ-იქით!
და რა სისწრაფით დაწიკწიკებდა ძარღვებში სისხლი!
ხან თავდაყირა ვაბრუნებდი ჩემში ქვიშებს და
რა გაბმულად ქროდა წამზომი,
საფეთქლებზე მიგორებდა მტვრის ნაწილაკებს!

როცა ჩასუნთქვით მზეს ვიძახებდი,
ამოსუნთქვით – მთვარეს,
როცა თორმეტი მშვილდოსანი ცეკვავდა ირგვლივ
გაჭიმული თორმეტის თვალებით, მე დროს ვკლავდი,
შენ – წელავდი,
მისახსოვრებდი მკვდარი საათების უზუსტეს წყებას
სრული სინქრონით.
ორი-ორად
მოძრაობდა მთელი ქალაქი
ჩემი ქუჩიდან ქუჩაში
ხუთწუთიანი ინტერვალებით,
ციფრიდან ციფრზე ხტუნვა!
ხის გუგულების უეცარი გამოფრენებით,
სათამაშო საათების საპასუხო ჭყლოპინით
და ცრემლი,
რომლითაც შენი ხრახნები იზეთება,
ეკლესიის გონგზე ვარდება
ქალაქში, სადაც ყველა კაცი მესაათეა,
ყველა ქალი – მედროვე,
ყველა მანქანა – სასწრაფო, დროზე ნაწყენი,
ყველა წამი – ფუქად ჩავლილი,
თითოეულში კი ახალი მსოფლიო ჩაშენდებოდა
და ეს აზრები საათის მიმართულებით მეხვევიან,
მაგრამ მესაათე,
რომელმაც ყურის მოკვრით იცის,
რომ დრო ფულია, და ხანდახან – მკურნალიც,
მოვა მერამდენედ
და მეტყვის:
– მადროვე, –
მე კი ათასი მალვიძარას ელდით მივხვდები,
რომ მან
არასდროს იცოდა ჩემი ლოდინის ფასი!

## საიდუმლო

მიკარნახე სიჩუმე...
მე ჩავიწერ
და თეთრ ფურცელზე ანგელოზი ბავშვები როკ-ენ-როლს
იცეკვებენ.

მკვდარი ბავშვები საღამოობით სანთლებით ხელში
დარბიან ველზე და მე ვერ ვიჭერ ციცინათელებს,
მე მეღიმება.
უხილავ ბავშვებს ეშინიათ ჩემი სიტყვების,
ისინი ფერებს იცვლიან,
ერთი სიტყვა და
ისინი იგრძელებენ თითებს,
ერთი სიტყვა და
ცვლიან მიმიკებს,
ერთი სიტყვა და
იფერადებენ ძარღვებს,
ირევენ თმებს...

ზედმეტი სიტყვა მათ ისე სტკივათ, როგორც
თოვლზე დატოვებული ნაფეხურები,
ორთქლით დაბერებული ჰაერი,
ან მოღრუბლული ქალაქი, სადაც
უბრალოდ გაფართოვდა ხალხის ჩრდილები.

ხანდახან უხილავი ბავშვები გალობენ, რომ ხილული
ბავშვებისათვის რძე დატკბეს.
როდესაც მკვდარი ბავშვები სევდიანდებიან, მინდვრებში
პიტნა ამოდის.
უხილავი ბავშვები სხედან ნამის წვეთებში და სძინავთ.
ანგელოზი,

უხილავი
მკვდარი ბავშვები
ბანაობენ გამჭვირვალე ჭიქაში, საიდანაც
შენ წყალს სვამ.
შენ გიყვარს წყალი.

მე ვლაპარაკობ
სიტყვა-სიტყვით.
ბავშვები წუხდებიან,
ისინი ივსებიან და მკვეთრდებიან
სიტყვა-სიტყვით.
ისინი სხეულდებიან
სიტყვა-სიტყვით.
ისინი იზრდებიან და
იბნევიან
სიტყვა-სიტყვით...
და ბოლოს
პირველად ტირიან...

შენ ყველაზე მეტად თოვლზე დატოვებული ნაფეხურები გტკივა
და შენ დადიხარ ფეხისწვერებზე.
მე ვიცი, რატომ,
და არასოდეს ვიჭერ ციცინათელებს,
არ ვფერთხავ ნამს პიტნის ფოთლებიდან.

შენ მიკარნახე სიჩუმე...
მე ჩავიწერე
და არასდროს გავამხელ, რომ
თეთრ ფურცელზე
ჩვენი ყველაზე ლამაზი სიტყვებია.

## ქეთი კალაძე

### * * *

ოლონდ გიყვარდე და
მე შენ მოგიტან წითელ ალუბლებს
დაკრეფილს მზეზე...
ოლონდ გიყვარდე და...
ჩვენ ვიცხოვრებთ ჩიტის ბუდეში...
იმ ლამაზ ხეზე...
ოლონდ გიყვარდე
და ჩემი სუნთქვა გეტყვის დანარჩენს...
ოლონდ გახსოვდე, ნუ გამომიტან სასტიკ განაჩენს...
გთხოვ, არ დახურო შენი კარი, დატოვე ღია...
რომ მოგიტანო საფლავთან დებით დამჭკნარი ია...
არ ვიცი რატომ,
მაგრამ ვიცი, რომ აზრი არა აქვს ბოლომდე გახსნას...
ოლონდ გიყვარდე და ჩემი ცრემლებით იპოვი ახსნას...
ჩემგან თუ წახვალ...
არ შეგაწუხებ, ჩუმად ვიტირებ...
დღეს მზე ანათებს და ხვალ თოვლს დადებს...
შორს თუ არ წახვალ, მე შენ მოგიტან ცრემლიან ვარდებს...
ოლონდ გიყვარდე
და მოგიტან წითელ ალუბლებს
დაკრეფილს მზეზე...

## ნანა ჭურღულია

* * *

მშვენიერება დადის ქუჩაში,
ჩამოფლეთილი კაბა აცვია,
მშვენიერება დადის ქუჩაში –
და დასცინიან – მოდის მაქცია!

მშვენიერება დადის ქუჩაში
ფეხშიშველი და ქუსლგახეთქილი,
თითქოს ღრუბლები გლოვობდნენ მიწას
და ზეცას ხევდა მათი კივილი.

მშვენიერება დადის ქუჩაში...
ვეღარ გრძნობს ყოვლისმომცველ
ტკივილებს,
გარდაცვალება უკვე ახლოა,
აგერ, მამალი როცა იყივლებს.

## გიორგი იაგორაშვილი

### იყიდეთ ტილო

ბნელი ქალაქის ქუჩა,
ქუჩაში კაფე მარტო.
გრძნობა კაფეში მორჩა
წვეთად დავლიე მანგო.
კაფეში - ერთი სკამი
მაგიდის გვერდზე მჯდომი
სხვა მაგიდასთან ქალად
მიძინებულა ომი.
თვალით გავაბით ხიდი:
ჯერ ვინ გადავა – ვდავობთ.
ზოგს ეგონება მშვიდი,
არა და, მზერით მათრობს.
მე დავეთანხმე, ხიდზე
გადმოსულიყო ქარად
და ჩამხატავდა თვალში
კოცნებად, ფუნჯის დალად.
იყიდეთ ქალის ტილო,
იყიდეთ ჩემი მზერა,
ფერგადასული ვნების
იყიდეთ გულის ძგერა.

## მათხოვარს

მინდა:
იმედნათხოვარ მათხოვარს
უმეგობრობის მკვლელობა
თვალებით შევატყობინო,
გაშლილი თხოვნის ხელები
ჯიბეში ჩავაყრევინო.
მინდა, რომ თმები შევაჭრა,
მინდა, რომ სუფთად ჩავაცვა,
საჩქაროდ მოვაშლევინო
ქალის საფულის გაძარცვა,
მინდა ხელჯოხი ვაჩუქო,
და მოსაწევად – ჰავანა,
უთუოდ გადავაჩვიო
მზერის მიწაში დამალვას.
მინდა, რომ დავიწყებული
გადავაკითხო წიგნები,
ისიც მინდა, რომ ქალებზე
დავაწყებინო ფიქრები,
ახლა მივდივარ ქუჩაში,
და მასზე ფიქრებს ვუნდები,
„მინდა, რომ“ – ნატვრად დამრჩა,
მაგრამ ვაჩუქე ხურდები.

## მაიკო მესტუმრე

* * *

მე ვიცი, რომ ყველას სწამს შენი არსებობის ქრისტე.
და ვიცი, რომ ყველა ათეისტი მშიშარაა,
რომ ყველა მათემატიკოსს ეჭვი ეპარება მათემატიკის
სიზუსტეში.
და ჩემი სისუსტე ქალურობაა.
გამომაღწევინეთ ჩემი გახსნილობის ჩაკეტილობიდან.
მე ვიცი, რომ რომელიმე აღდგომის ღამეს მათაც ჩემსავით
მოადგებათ თვალზე ცრემლი და იტყვიან: ისააკ.
მაპატიე იარები, მე, იუდას, რატომ ტუჩები არ ამომეწვა, როცა
გემთხვიე.
მერამდენედ და მერამდენე ღმერთს უნდა გავუცრუო იმედი.
ნეთუ ისრაელი ვარ, იმ ცოდვიანი ერის შვილი, შენ რომ გაწამა.
მაპატიე იარები, ჯვარი, ბარაბა...
იმ ცოდვის მთაზე სამჯერ ავალ, სამჯერ ჩამოვალ.
ოღონდ ჩამომირეცხეთ ფიქრები და ჩამოხსენით ჩემი თოკი
სახრჩობელადან.

* * *

ფიქრების საბანში გავეხვევი და თავს შავ ღამეს მივცემ.
თეთრ მთვარეს აათალე ღიმილის ფერი,
გადმომელვარე, გადმომეწვიმე, შემომიშვი და განგიცდი.
სიზმარეულში შენი მწიფე, ალუბლის ბაგეებიდან სითეთრეს
გადმოღვრი
და ჩვენ ნაკვალევს დავტოვებთ წყალზე.
ენაპირობაში ჩავილენები და შემომიშვი, განგიცდი,

სანამ ფეხადი ვარ და სანამ ბავშვობას უჩვენებს ჩემი
ტელევიზორი.
მეშინია, კომპასს არ აქვს მხარეები –
ვაი, თუ შენს სამხრეთულ მხრებს ველარ მოვაგნო,
დილობაში ჩაკარგულს ბავშვობიდან ველარ გიპოვნი.
და სანამ ფეხადი ვარ, სანამ გავფეხმკრთალდები,
და სანამ ბავშვობას უჩვენებს ჩემი ტელევიზორი,
შემომიშვი, რა,
განგიცდი.

* * *

მთელი ღამე ყეფენ ძაღლები და შენ მაინც სიმშვიდის
იმიტაციას
ქმნი შენს ოთახში.
და იცი, რომ სიკვდილი სიცოცხლის ბოლო რეკვიემია.
სულის ამოხაპვა მინდა სხეულიდან.
მე ვიცი, რომ ყველაფერი წუთობრივია.
თუ, როდისმე ცის სარკეში თავი დავინახე, მივხვდები, რომ
გავიზარდე და მინაც და ცაც ის სარკეა, რომელსაც არ უნდა
შეეჩვიო.

მე ჩემს ნაჭუჭში უნდა ამოვიქოლო, ამოვიმარხო.
დილიდან საღამომდე სიჩუმის კამათელს ვაგორებ.
მთელი ღამე ყეფენ ძაღლები და მე მაინც სიმშვიდის
იმიტაციას
ვქმნი ჩემს ოთახში.
ვიცი, რომ სიკვდილი სიცოცხლის ბოლო რექვიემია
და ვიცი, რომ მეც ერთხელ უნდა ვიფრინო ზღვის თავზე
თოლიასავით.
დამიბრუნეთ ჩემი ჯვარცმული ბავშვობა, ჩემი სიმყუდროვე,

ჩემი ქალაქობა, მე ჩემს ნაჭუჭში უნდა ამოვიძრო.
ძნელია გამოიგონო ემოცია, როცა მთელი ღამე ყეფენ ძაღლები
და შენ მაინც სიმშვიდის იმიტაციას ქმნი შენს ოთახში.

* * *

ძველ ნივთებსა და ტანისამოსს შორის
ბავშვობას მივაგენი და ჩემი სევდიანი,
დარდიანი ბავშვობიდან ვცადე გამოქცევა.
ბავშვობას მივაგენი და ჩემი სევდისა და დარდიდან
ვცადე გამოქცევა.

ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევალ, რადგან ყველაფერი
გამდინარეა.
მე კი ისე მინდოდა ჩემი სულის ტბაში ჩამეყვინთა,
რომ ყველა გუბეში თავს ვყოფდი.
არაფერია შეუჩვეველი, ნეტავ დანახვის დღიდან იმ
ბოლო დღემდე,
რა გამაოცებს, რას ვერ შევეჩვევი.
ზეცასთან მინდოდა ახლოს მეცხოვრა და პოეზია ვცადე.
რამდენი საფეხური ჩამომემსხვრა?!
და მე, როგორც პოეზიის მდემარე ბავშვი,
ლიანდაგზე ვცხოვრობ და ბაქან-ბაქან სიკვდილს ველოდები.
ვაგონ-ვაგონ ჯაცს პოეზია დააქვს და მე, მისი სურნელებით
გაბრუებული,
ჩემი მატარებლის ხმაურში გზას ველარ ვიკვლევ.
ძველ ნივთებსა და ტანისამოსს შორის
ბავშვობას მივაგენი და ჩემი სევდიანი,
დარდიანი ბავშვობიდან ვცადე გამოქცევა.

**ანა მარტიაშვილი**

## დღეს

დღეს საბოლოოდ ვწყვეტ უშველებელ ძაფს...
დღეს შედეგს უნდა დაველოდო...
დღეს გეტყვი...
დღეს ვალიარებ...
დღეს შენს ტუჩს სტიკერივით გადავიკრავ ჩემსაზე, რომ
ვერასოდეს მომცილდეს...
დღეს შენს ხელისგულს ჩავავლებ ჩემსას და ორივე მხრიდან
დავაუთოვებ,
რომ ერთმანეთში ჩაიღვარონ, ჩადნნენ...
დღეს სხეულს დაგისერავ ჩვენი საერთო სამზარეულოს დანით,
დღეს მეც დავისერავ ტანს...
დღეს სისხლიანი მოგეკრობი და შეგეხორცები...
დღეს ისედაც უმოქმედო თვალებს სამუდამოდ დავხუჭავ,
რომ სხეულმა და სულმა შენი ცქერა უმზეროდ ისწავლონ...
დღეს მარჯვენა ტერფზე მთელი ძალით დაგებიჯები, ქუსლით
გაგსრეს,
რომ იგრძნო:
დღეს მეც შემიძლია გატკინო...
დღეს დავშრები...
დღეს გავშეშდები...
დღეს მოვასწრებ, თუ გეშინდელივით არ შემეშინდა...
დღეს...
დღეს...
დღეს...
დღეს ცა მეოთხედ, დადებითად მოთოვს...

### სოფო მიქიაშვილი

## სწორი კითხვების მიღმა

სწორი კითხვების მიღმა
ღელავს ზღვა
ხალხი...
სწორი კითხვების მიღმა
ვბედავ და
ვახლი

არასწორ პასუხს,
არასწორ ფიქრებს,
არასწორაბმულ
არასწორ რითმებს...

არასწორ გზაზე დადგმული
ვდგავარ არასწორ მხარეს.
არასწორ გზაზე დადგმული
ვგავარ წამოშლილ ხარებს

და ვერჩი მე მყარს,
და გვერდში მე მყავს
სული,
რომელიც მეუბნება, რომ არ გამომივა,
რადგან პასუხი არასწორ კითხვებს ვერ მოეძებნეს...
. . . . .
შენც გერჩი
თუკი სწორი გგონივარ...

* * *

ვკითხე ქარს გუშინ გაფრენის წინაც,
ქვას,
დარს,
ნაავდრალს,
რა ვიცი, კიდევ ვის აღარ ვკითხე...
ქვით ვხევ წერილებს,
დამწვრებს
და მინებს
ვნოვ ყველგან,
იქნებ, სანამ დავმიწდე,
ვიპოვო-მეთქი...
ეპილოგებში,
პროლოგებში,
კადრში, ნოტებში...
ხან ცა მეგონა შებინდებისას,
ხან მისი შესვლის შარის შურ-შური
დახშულ საშველში...
საიშვიათო გამოვაღე ამიტომ ღამით...
რა უსაშველოდ გაიწელა უშფოთველობა;
ძუგძუგებს გული.
იქნებ ეგაა(?);
მაგრამ ის ჩემში დაგუბებული საპოვნელაა
და აძუგძუგებს უშოვნელობა...
რა უმაშველო საშოვარი გადმიწყვეტია...
რა უსაშველოდ გამეწელა შენება შენი
შუქით,
ჩრდილებით,
პოზიციით,
კომპოზიციით,
გამოჩნდი ცაზე!

იქნებ ვინმეს თვალებში განახო,
ან იქნებ წვეთად ჩამოხვიდე ჩემი ქოლგიდან
ჩემს მოოქროვილ სამაჯურზე...
ჯვარო ძიების!
დაუძახე სიმძიმეს, თორემ
ძვლებში არტანს ტკივილი უკვე;
იმდენი ვუქე,
სამძიმარზე მოვლენ მგონი თვალები ძვლებთან
და მაინც იქაც დაუწყებენ ძებნას მას...
უცნობს...
არსებობს მაინც?

**შობა**

შვიდია ახლა...
მშვიდი ღამე და
მშვიდი ხმები მამცნობენ შობას...
სანთლებს ანთებენ და აქრობენ,
სანთლებს აძრობენ სასანთლიდან,
სანთლებს ეძებენ სასანთლეში,
ნათელს ეძებენ სანაგვეში
შენი შვილები...
შვიდია ახლა...

ვიშლი ხვეულ თმას,
საკუთარ თავს
დავტირი მე მშვიდი ყვირილით...
ვიშლი ხვეულ თმას,
საკუთარ თავს
მივუტანე შვიდი ყვავილი...
შვიდია ახლა...

მოგილოცო შვილის შეძენა?
თუ მომკლავ და მანდ პირადად გადამეხვევი?
შვიდია ახლა...

მჭმუნვარე ვარ, მამიი!.. მამიი!..
სულ დამჭერი?..
თუ არე ვარ ჭმუნვის, მომე,
მე დამჭერი...
გამაკარი სადმე ჯვარზე,
ერთხელ კიდე მინდა ვნახო,
შემოქმედო, შენი ქვედა სამყოფელი!..
გამაკარი სადმე ჯვარზე,
ნუ მაწვალებ ასე, თორემ,
უსიკეთოდ მივარდება ეს სოფელი!..

თუ იესო მაგალითად მომიყვანე,
ერთი-ორის განკურნება მაინც შევძლო...
თუ იესოს დარი ტანჯვა მომიტანე,
ეშმას ერთხელ დამარცხება მაინც შევძლო,
შავოსანო ჩემო მშვიდო მეგობარო,
შვიდ შვილს მაინც ეს სიცოცხლე რგებოდა, რომ
ერთხელ გულით მომელოცა შობა შენი ჯვარზე ცმული ჩემი
ბავშვის...

* * *

პწკარ-პწკარ ვაწან სიტყვებს სილა,
წამწამს ცხელი ცრემლი ვასვი,
დავსვი დილით მწველი დილა,
აღარ დავიძინე ღამით.
ხოხვით ხეზე ხაზებს ვხაზავ

ხარბად ვახლი ფიქრებს ფაზებს,
ვაჯლავ დღეებს, თვეებს, წლებს და
წამდაუწუმ ვაჯლავ აზრებს...

. . . . . .

უშარიშუროდ, უშიშოდ
შუქში სიმშვიდე მინდა...

* * *

ვჭრი, ვჭრი, ჭერს,
ჭრა, ჭრა ჟღერს.
ვყრი, ვყრი, მტვერს,
ყრა, ყრა, ჟღერს.
ვთვლი რი-თმებს,
ვღლი, მი-თმენს.
ვთლი მი-თებს,
ვი-თლი თმებს...
მივიწევ!
მიგიწვევ!
ფრთებით!
წვერში!
ჭერში!
ფერში!..
გატყუებ, იცი...

## ორი ცა მინდა

ერთი, ორი, სამი,
ღმერთი, ცოლი, გვამი.

სამი, ოთხი, ხუთი,
წამის ბევრი ყუთი.

ექვსი, შვიდი, რვა,
მსგეფსი, გიდი, გზა.

ნოლი, ნოლი, ცხრა,
დოლი! დოლი! თვლა...

ერთი, რვა, რვა
გვერდით ჯვლით სვლა,

ორი, სამი, ცხრა,
სნორდი! სმენა! და...

ნოლი, ნოლი, ცხრა,
დოლი, დოლი! წვა...

ერთი... ორი... სამი...
ღმერთო ორი ცა მი(ნდა)...

## ეთერ გავაშელიშვილი

### მე, ისევ მე და ჩვენ

რაში მჭირდება შენი მიმართულება
ან თუნდაც რაში მჭირდება
სიტყვა „მჭირდება“.
ისევ დამეძინა, ველარ მოგისწარი,
მე, იცი, ძალიან ბევრ დროს ვკარგავ.
არ უნდა დავკარგო, მაგრამ...
მე, გესმის ჩემი?
ეს დამპალი ცისარტყელა, როგორ
იღიმის ფარსი ღიმილით.
მე, შენი მესიჯი ისევ არ მოსულა,
შენც არ მოსულხარ,
სულ რაღაცას იმიზეზებ.
მე, იცი, გავიზარდე,
მაგრამ შენ ეს ვერ შეამჩნიე.
მე, შენ ისევ ბავშვი ხარ.
მე, მაპატიე, რომ გავიზარდე.
მე, მეც მინდა წვიმა შენსავით მიხაროდეს.
მე, გთხოვ, არ მიმატოვო.
მე, შენ ერთადერთი ხარ.
მე, რატომ იზრდებიან
ადამიანები ასე მაღლები
და ალარ, ალარ იხედებიან ქვემოთ?
მე, დედა რატომ არ მისმენს?
მე, რატომ უნდა მიყვარდეს მამა მხოლოდ
იმიტომ, რომ მან სიცოცხლის მარცვალი
მაჩუქა?
მე, არ მიმატოვო!

მე, შენ ხომ მოკვდები,
ხომ ნამდვილად მოკვდები,
იმიტომ, რომ ბავშვი ხარ და ვერ გაძლებ...
იქ, მაღლა შეგხვდები.
იქ, ადამიანებზე მაღლა.
მე, შენ ხიდი ხარ!
მე, ჯერ ხომ არ წახვალ?
გინდა, თმა გაჩუქო,
ან რამე, რამე...
მე, მზეს აღარ ვუყვარვარ.

ლუკა გორდაძე

## ლექსის მოლოდინში

ისევ ქაღალდის სუფთა ფურცელი,
ტაბულა რაზა...
ისევ ვუზივარ სარკეს მაგიდას
და ჯოხებს ვხაზავ.
უკვე ღამდება, მზე მშვიდად ჩადის,
მთვარე ამოდის.
ჩნდებავარსკვლავი, ღამე მოდის და
მუზა არ მოდის.
ალბათ გამიწყრა. წერილს დავუწერ:
„მოკითხვას გითვლი,
შენს მოლოდინში ცას ვუყურებ და
ვარსკვლავებს ვითვლი“.

## ღამის პეპლები

რა ვუშველო ამ სულელ ღამის პეპლებს,
რატომღაც მაგიდის ლამფას რომ ეკვრიან,
ფრთებს იდნობენ, იწვავენ ფეხებს,
თვითმკვლელობის ნეტარებას ეძლევიან.
თითქოს რიტუალური ცეკვა შეასრულეს ცეცხლის ალზე
და უძველეს წარმართულ ღვთაებას შესწირეს თავი.
რა ამაზრზენია დაფერფლილი სილამაზე!
რა ხარბად ანათებს ლამფა – სიკვდილის თვალი!
ფანჯარა დავხურო? ლირქოები ამოვქოლო?
აზრი არა აქვს, ჩემი ჰუმანურობა არ უშველით
და ამ მსხვერპლშეწირვებს არ ექნება ბოლო,

სანამ ტრიალებს ცხოვრების კარუსელი,
სანამ შემოქმედი არ მომცემს ცოდნას იმაზე,
თუ რატომ შექმნა პეპლები და ბუზანკლები,
ან დამღუპველი არაცოცხალი ალისაკენ,
რატომ მიფრინავენ ცოცხალი არსებები
ან თუ მაინც არის ყოფნა დასაზღვრული,
თავის გაწირვა ღირს რა მიზნისათვის/
ან ვინ მოიფიქრა დასასრული
ყველა ამქვეყნიური ისტორიისთვის?
წამით მგონია, რომ რაღაცას მივხვდები,
მაგრამ ჩამესმის ვიღაცის მკაცრი ჩაგონება:
„ნუ მკრეხელობ, კერპებში ნუ მიძვრები!
სახელმძღვანელოებში პასუხი არ მოიპოვება!“

* * *

ეს მზეც ჩავა, დღე დამთავრდება,
როგორც სიცოცხლე.
თოვლშიც, წვიმაშიც, ხვატშიც, გრიგალშიც
თავაწეულმა მზისკენ თუ არ იარე,
თუ არ იგრძენი, თუ არ იტანჯე
ტილოდან სულის დამბადებელი მხატვარივით, –
ერთფეროვნების ბურუსში მიგეძინება და
თითებშუა ისე გაგეპარება ბედი
თვალებზე აფარებული ხელებიდან,
როგორც წყალი, ჩაგუბებული პეშვში,
ან ის მზე, გუშინ რომ ჩავიდა.

* * *

რაში მაინტერესებს, რომ სამყაროში სურათები
მილიონჯერ მეორდება?!
მე მივყვები გზას, ჩემი მზერით გაკვალულს
ქვეყნის დასალიერამდე და მიხარია, რომ
არ ვიცი, რა მელოდება.
მე შემოვდივარ შენში, უსასრულო სამყაროვ,
სადაც ყველაფერი ისე საშინლად ახლობელია,
სადაც ყველაფერი ერთმანეთს ისე ჰგავს,
რომ ვერც ვარსკვლავებს შეიცნობ
და ვერც საკუთარ თავს;
სადაც ადამიანები, როგორც ჩიტები,
ბუდეებს ტოვებენ,
სადაც მომღერალი და უხილავი ვარსკვლავები
ბერდებიან, აფეთქებებით გვაბრმავებენ და
ოცნებებით მიწას გვაშორებენ.
მე შემოვდივარ შენში იმისათვის, რომ ვიყო
არა უკვე ყოფილ ხმებში.
მე გავლევ ჩემს და მხოლოდ ჩემს ცხოვრებას შენში,
სადაც შესაძლოა, მე, შეუცნობელი,
უკანასკნელად ვიბადები და
უკანასკნელად ვკვდები.

## სიჩუმე

საკუთარ თავს მოუსმინე, გაქცევას ნუ ჩქარობ,
როგორიც ხარ, ისეთი იყავი და
ყური დაუგდე სიჩუმეს.
სიჩუმის ხმა შეიძლება იყოს
გაუგებარი, ბრაზიანი, გამაყრუებელი,

შემაშფოთებელი, უცხო;
ანდა – სასიამოვნო, ალერსიანი,
ნაზნაზი, ტკბილი,
ან საერთოდ არ იყოს.
დაიცა, ეს შენ ჯერ კიდევ არა ხარ!
სიჩუმეს უსმინე ისე ყურადღებით,
მოთმინებით, ჩუმად, დაჟინებით,
როგორც არასდროს.
შეეცადე ჩანვდე, რომ სიჩუმე –
სიცარიელე არაა.
დღეს ნუ გაექცევი საკუთარ თავს.
...და ეს უწყვეტი გუგუნი?
ან ეს მსოფლიო ხმაური და ზრზვინვა?..
ესეც შენა ხარ, ეს შენი ოკეანეა
და შენ ამ ოკეანის ერთი ტალღა ხარ.
მაგრამ დღეს შენ სხვა რამ გჭირდება –
სიჩუმე...
სიჩუმედ წარმოიდგინე თავი.
სიჩუმით დატკბი.
სიჩუმის ნუ გეშინია.
სიჩუმეს უსმინე.
სიჩუმემ აგავსოს.
სიჩუმე შენით გაგრძელდეს...

## მარიამ გიორგაშვილი

* * *

ნამი ფიქრია,
გზა – ირიბი და საჯინაღამო,
ცაცხვების ჩრდილში
მუმიასავით წვება საღამო.
თვლა არეული
დავბორიალობ ლურჯ ლანდებს შორის,
ცაცხვნარში წვება
ძლივს მოთმენილი ტანჯვა სიშორის.
ხმა ქვითინია
და სიტყვები – ცად ალოცება,
ბრძოლაა დიდი...
არის ნუგეშიც და გაოცებაც...
ვითვლი ვარსკვლავებს,
როგორიც ბავშვობის ბოლო იმედებს,
ანი განგება
მხოლოდ წყვდიადებს გამოიმეტებს!
საჯინაღამო
გზებს ეფინება ჩრდილი გრძნეული,
საღამო არის
მუმიასავით სევდად ქცეული...

### გახსენება საიქიოდან

მე მახსენდება:
ქუჩის კუთხეში
როგორ უგდებდი
მათხოვარს ხურდას,

წვიმა კი იყო
ისე უხეში,
თითქოს სუყველას
დახრჩობა სურდა...
მე მახსენდება:
როგორ გვიყვარდა
შემცივნებულებს
ჭადრის ქვეშ დგომა,
როგორ გვიყვარდა
ირიბი ქუჩა,
თავხედი წვიმა
და შემოდგომა.
და ჩვენი ნატვრა:
ყოფნა სოფელში,
ერთმანეთი და
პატარა ქოხი,
ხმაურით გავლა
ჩვენს ორღობეში
და ნახევარი
შუადღის ოთხის...
ეს იყო ზუსტად
ოთხი წლის წინათ,
როცა არ იყო
სხვა გაფიქრება,
როცა ყველაფერს
ნიშნავდა წვიმა
და ჩვენი ქუჩის
გრძლად გაფიფქება.
მას შემდეგ ოთხი
გავიდა წელი,
ამქვეყნიური
ფერი ვიცვალეთ,

ერთ თეთრ საღამოს
ჩავკიდეთ ხელი
და პლატონურად
გარდავიცვალეთ!

## კოშმარი

ცას თითქოს მოსტყდა კიდე,
ელვა... ღრუბლების თრთოლვა...
უნდა იქუხოს კიდევ,
უნდა განახლდეს ქროლვა!
ჩვენება ძნელად ეთქმის
ამ ნაპერწკლების ცურვას
გრძნობას, რომელსაც ვებრძვი,
გრძნობას, რომელიც მღუპავს!
ზრიალი, ღელვა, თქეში,
შავი გველების ცოცვა,
განაპირებულ ტყეში
სულთა გვიანი ლოცვა.
დაუთვლელ ფერთა კლება
და იმედები გრიგის,
შემოდგომასთან მდგომი
სიზმრების გრძელი რიგი.
ძილი, ღვიძილი, ბოდვა:
უკულმა მოდის წვიმა,
შვიდი მედება ცოდვა,
შავი ცრემლები მცვივა...
გამოღვიძებულს მახსოვს:
ჩემი ქათქათა რიდე,
შენი თვალები მშვიდი,
ვიღაც მესამე კიდევ...

ეგორ კაზარიანი

## ღვინობისთვე

დიონისე შემოუძღვა ღვინობისთვეს,
ბაღში ვაზი კელაპტრებად ელავს,
მწუხრის ლოცვას ასრულებენ ბელურები.
ხიდან ისმის ხმელ ფოთოლთა ცვენა.
მთვარის შუქზე შემოდგომის ნაზი სუნთქვა,
ჩვენს ძარღვებში ცხელი სისხლის ფეთქვა,
ხარიხებზე ჩურჩხელების შარიშური,
ორღობეში ოროველას მღერა,
საწნახელში ფეხშიშველა ყმაწვილკაცი,
სველი დოქის შემოტანა კერას,
ბაბუების ძველი ლოცვა ჩვენებური,
ბევრ სიკეთეს რომ გვისურვებს ყველას.
ჩალის შრიალს, ორღობეში ურმის ჭრიალს,
და ქვევრებში, არტახებში ჩასმულ მაჭარს.
დალულუნებს შემოდგომა ოქროსფერი,
ჩასჩურჩულებს ჭირნახულის ამბავს.

## მეეზოვე

წვიმა ცრის და შემოდგომის
დანავარდობს ცივი ქარი,
ცოცხის ტარზე დაყრდნობილა
მეეზოვე ქვრივი ქალი.
გული უნევს, ცრემლი სცვივა
ნარსული დრო ენატრება,
ობლები ჰყავს, სამი შვილი
და ფიქრები ეძალება.
ფოთლები კი იმის ჯიბრზე
მაინც ცვივა ნელა-ნელა,
ჩემ ოხვრაში და შრომაში
დღესაც ბინდი ეფარება.
დაღლილ ფეხებს ძლივს მიათრევს,
დასვენება ენატრება
და საცოდავს ღამე ძილშიც
ფოთოლცვენა ელანდება.

მაია ფაჯიშვილი

## ახალგაზრდა თოვლის პაპას

რად გამახსენდი ასე უცებ? წვიმის ბრალია!
შენც გახსენდები, თოვლის პაპა? თუ ფიქრობ ჩემზე?
რა ვუყოთ, რა ვქნათ, არ ვითვლები უკვე ბავშვებში,
უფლებაც არ მაქვს, უსირცხვილოდ ვიფიქრო შენზე.

ხომ დაბერდები, მეც დავბერდები, შვილების მამა,
და შვილიშვილებს აუსრულებ ახალ წლის ნატვრებს,
გაგეცინება, რომ სტუდენტი იყავი პაპა,
იქნებ არც იცი, რომ უფალი ჰგონიხარ ბავშვებს.

ზღაპრებს ვკითხულობ, არ ვითვლები თუმცა ბავშვებში,
იქნებ არც ლირდა ლაპარაკი ფიქრების ქართან...
მე წვეთებს ვუმზერ, ირეკლება წვიმა თვალებში,
და მაპატიე, რომ ღმერთი ვარ საკუთარ თავთან...

## გ თ ხ ო ვ თ

(სონეტი)

გთხოვთ, ნუ დამიძლევევთ ამ სითეთრეს, ამ სისუფთავეს,
მინდა, რომ დავრჩე ჯვლავ ბავშვივით თეთრი და წმინდა,
ნუ შეაფურთხებთ ნაზ თვალებში ჩემს სისადავეს,
ნუ დაალაჯებთ, გაიარეთ ნაზად და მშვიდად,

ნუ ანმენდთ ფეხებს ჩემს სითეთრეს, ჩემს სისუფთავეს,
ნუ მიყვანთ ხელში, უცებ მადნობს ხელების სითბო,
და ნუ მიშორებთ, როცა თმაზე ხელით გეხებით,
თუმცა ვიცი, რომ გეშინიათ ქალარის თითქოს,

მეც მეშინია, რომ დავდნები, სულ წყლად ვიქცევი,
და არ ვიქნები მე ბავშვივით თეთრი და წმინდა,
და მეშინია, არ მიმიღოს ცამ ასე შავი,
კარი არ გახსნას არ შემიშვას, გამლანძღოს, მითხრას:
ვერ იცხოვრეო შენ ბავშვივით ნაზად, უბიწოდ,
არ ხარო ღირსი კარი გავხსნა, შეგიშვა მშვიდად,

ნუ შემაფურთხებთ ნაზ თვალებში ასე უტიფრად,
ნუ დაალაჯებთ, გაიარეთ ნაზად და მშვიდად...

## მარიამ ამირეჯიბი

### გაპატიებდი მაგრამ...

შენ,
ჩემო ღმერთო,
გაპატიებდი, მაგრამ
რა ვქნა,
დედაჩემის ამაყი გენი
და
მამაჩემის მკვდარი ძვლები
არ მიშვებს
შენეული ბედნიერების
დასაბრუნებლად.

აღარ ვღელავ
იმაზე, რომ ჩვენი ბმული,
ვარდისფერი აბრეშუმის
ლენტით გადაბმული
კი არა და,
უფრო „მომენტით“
მილიონჯერ გადანეპებული,
ძალიან ჰგავს ბიძაჩემის
ტოლა კაცის
ბავშვობაში
დაჭერილ პეპლებს.

აღარ ვღელავ
იმაზე, რომ ჩემი სულიც,
შენი ნაამბორი
სხეულიდან გამოსვლისთვის

აღარა მტკენს
ლავინისა და ლავინის
ძვლებს შუა.
ახლა უკვე მე ყველაფერს
თავის სახელს ვარქმევ,
მე – ცა და
შენ – მის კალთებში
მეცხრე სართულზე
მუსიკის მასწავლებელს
კი არა,
მეცხრე ცაზე ღმერთს გიწოდებ.

ჩემს სამეფო გენებს ვფიცავ,
გაპატიებდი,
მაგრამ შუქი წავიდა
მხატვრების სახლში და
(მეც მართლა ანგელოზი კი არ ვარ,
გეხუმრებოდი)
ვერ ამოვალ ნატკენი ფეხით
და სხვისთვის განაწილებული
ბედნიერებით.

და თუ ეს ლექსი უფრო მაღლაა, ვიდრე
მეცხრე სართული,
მაშინ მე ჩემს კალთებს მივწვდი
და მაინც,
ვერ გაპატიებ...

## მთვარის ორივე მხარე

### პირველი

ნოემბერში ვნახე პირველად...
ისეთი ამინდი იყო, ნოემბერმა რომ იცის ხოლმე, ქარიანი და
წვიმში გადატეხილი...
იმის მერე ყოველ შემოდგომაზე მეუბნება – ნოემბერმა ქარები
იცისო.

რაღაც სხვანაირად ვუყვარვარ ნოემბერში...
თავისთვის ვუყვარვარ.
მე გაყინული ხელებით სიგარეტს ვუკიდებ, ის კი ზის,
მიყურებს და ჩემზე ფიქრობს...

ბევრს ვწევით ხოლმე ნოემბერში.
აბა რა ვაკეთოთ?
ამ ეპოქამ სული დაკარგა და მან – თავი ჩემ გამო...

დიდხანს შეუძლია ბოლის შგუბება,
მე მეშინია ხოლმე.
ხველებას რომ ვიწყებ, დამცინის.

ის რომ მარიჰუანას ისუნთქავს ღრმად, ისე ვისუნთქავ ხოლმე
ნოემბერს.
თორემ, აბა მერე დეკემბერი მოდის.
სიცივისგან გული ეყინება ხოლმე, თუ რა, არ ვიცი, მაგრამ...

ნოემბრის ბოლოს მითხრა, ნეტავ ისევ ისე მიყვარდე,
როგორც მაშინო...
მერე მე მთელი საზამთრო დაზოგილი და დაგროვილი სევდა
დეკემბერში ჩავატიე.

არაფერი მიყვარს დეკემბერში მანდარინების გარდა.
ერთხელ მოვიგონე, მანდარინი ჩვენი საყვარელი ხილია-მეთქი.
იმ დეკემბერს მივხვდი, მას ფორთოხალი მანდარინზეც და
ჩემზე მეტადაც ყვარებია...
მერე მითხრა, ნოემბერმა ქარები იცის, მე კი ახლა ისეთი
ქარები მიქრის თავში,
სულ ნოემბერი მგონიაო.
ალბათ მინახავს მას შემდეგ.
ნოემბრის ბრალია.
ხომ გითხარით, ნოემბერში რაღაცნაირად, თავისთვის
ვუყვარვარ-მეთქი.
იყოს, ვუყვარდე თავისთვის.
მე მაინც მიყვარს მანდარინები...
დეკემბერსაც ეშველება რამე.
ერთი ეგ არის, მთელი ზამთარი თავის დარდით შიგ ჩავატიე...
მოვა იანვარში სიცარიელე..

## და ბოლო

მე მახსოვს
მისი წვრილი შავი თვალები
ხამხამს და ხამხამს შუა როცა მესმოდა
ცნობიერიდან ქვეცნობიერში ჩემს სიყვარულს
როგორ დასდევდა...

მე არ ვიცი სისხლის
ბერთულაკებად წამომსკდარი
დეკემბერი აგვისტოს ბოლოს და არც
ის, როგორ ირეკლავდნენ მის თმებს
ლამპიონები ღია კაფეში,
მაგრამ მე მახსოვს ერთმანეთით მოქსოვილი
გაზაფხულები, ბამბის რიგები და

კიდევ ბევრი,
ბევრი,
ბევრი
ამბავი...
მე სულ არ ვიცი მისი პეპლები,
გიჟივით ფრთები,
მაიების ქიაფრენები,
მაგრამ ჯერ კიდევ კარგად მახსოვს
ნემსის მინდვრებზე ყველაზე გრძელი
დახუქობანა, მისი „ანი“, ჩემი „პოე“
და ჩვენი ყველაზე ვნებიანი ღმერთები,
თვალებზე ისე წითლად რომ აგვენებნენ,
რომ გაგვახილეს...

* * *

მე,
სხვისი გოგო
მივხვდი –
რკინის პეპლების იმიტომ მჯერა,
რომ თერმე ბავშვობაში აზიელს ვგავდი.
მივხვდი –
კოპლებიან კედლებს რამდენჯერაც არ უნდა გადავუღო
ფოტო, ქიამაიებს მაინც ვერ გავამჟღავნებ.
მივხვდი –
მეტაფორულად მოაზროვნე ჩვენი ულაქებო გონება
მუდამ ინათებს.
მივხვდი –
მამაჩემმა სისხლით წითლად რომ შეღება და მერე
დედამისმაც
შავ ლურსმნებად რომ ააქედა ცოდვა,

ცაც ჭიამაია მაგიტომ მეგონა.

. . . . . . .

ამდენი რამე
ხომ მე თვითონ გამოვიცანი,
ახლა შენ გკითხავ:
ასე უცბად,
სხვისი გოგო
როგორ აღმოვჩნდი?
შენ გამა-სხვისე?

## ჩემი არაინტელექტუალური ნემსიყლაპიები და ჩამოფარდებული სუნთქვა

არც მაშინ, როცა
ჩემი მოგრძო
თითებით გადაითვლი
ამ ქვეყნის ყველა მშვენიერებას,

არც მაშინ, როცა
ინტელექტი თავს
მოიკლავს
ჩვენი სენტიმენტალით,

არც მაშინ, როცა
ჩემი ფემინური მოსახვევები
გაგახსენებს გვერდზე ოთახში
მშობლების კვნესას,

არც მაშინ, როცა
ზურგზე დაგახატავ მელნით
კოპლებს და ზედ

მალებსაც გადავათვლი,

არც მაშინ, როცა
ჩამოფარებულ ოთახში
გა-მალებით
ვსუნთქავთ გამოგონილებს,

არც მაშინ, როცა დილას
ჯერ წიწწლებს ამოგიწმენდ
და მერე ისე დაგიჯოცნი
ქამელეონებს,

არც მაშინ, როცა
საჩვენებელი თითით მთვარეს
დამანახებ და მე მაინც შენს
საჩვენებელს ჩავაჯვირდები,

და არც მაშინ, როცა
ამ ლექსს შევეცოდები,
რადგან იცის, რომ შენ
ხარ ის, რაც მე ყველაზე მეტად
მომეწონა დედამიწაზე,

არასდროს მითხრა,
თორემ დაგამადლი,
როცა ვნებას – სინანული
შენს ხმის ტემბრს –
სოპრანო,
ჩვენს შესუნთქულ
ოთახს – ცინიზმი
და მაგ სიტყვას – „ალარ“ შეემატება.
მიყვარს და რა ვქნა

ჩემო გიძელთბმიან,
თმაშექჩილო,
როგორ მიმიხვდი, რომ ჩემს
უტვინობაში დაჭერილი ყველა ლექსი
შენზეა, მაგრამ შენზე არ არის?

ახლა უკვე როგორ არ გითხრა, რომ შენ ყველგან შენ ხარ,
ხარ და არცა ხარ,
რომ ამ სიტყვის ყველაზე გაუცვეთელი და მაინც
პრიმიტიული მნიშვნელობით
მე შენ გა-ღმერთებ?

როგორ ავუხსნა მომავალ ქმარს, რომ
როცა პრობლემები გვაქვს,
როცა ტაფაზე კვერცხი მეწვება,
ქუჩა მებრძვის,
კურიერს ვიჩხერთ,
პეპლებს არ ვიჭერთ,
ან უბრალოდ, ალარ უდგება,
ვიჭერ ყველაზე შორ და ყველაზე ჩუმ არხს
კოსმოსში –
როგორც მანდალას,
გიცნობ მთელ სამყაროს ჩემში
და სამყაროში საკუთარ თავს,

როგორც სპაზმებიან ზურა მესხს სძულდა ღმერთი, ისე მეც
მძულხარ
და როგორც ხუჭუჭა გოგოს,
იმას, ცოტათი მარია მაგდალინელს რომ გავს,
შენ შეუყვარდი,
ისე, ზუსტად ისე მიყვარს ბნელ კუთხეებში მოძებნილი ჩემი
ღმერთი,

მე - უსამშობლო, უდედმამო, ულმერთო გოგოს...
. . . . . .
და ვიჩხერ და ვიჩხერ სხვის სიყვარულებს.
ჯი არ ვჯაიფობ?
ისე, უბრალოდ, ლომჯამ რომ არ გადამიყოლოს.

## ალექსანდრე ლორთქიფანიძე

### პეპლები

მე არავინ მასწავლა, რომ პეპლები სამი დღე ცოცხლობენ,
მე არავინ მასწავლა, რომ პეპლებს ორ დღეში კლავენ...
და მე არასოდეს შემეშინდება თვითმკვლელობის,
რადგან ფრთები მაქვს და ჩურჩული შემიძლია,
შენზე მეტად მიყვარს ბავშვის ტირილი და მთები,
რომლებიც წინდებს მიქსოვენ ყოველ დილით...

დღეს რომ სანთლები ჩაიწვება,
ჩვენ აღარ გვეტკინება ჩვენი უხამსი ბავშვობა,
დამპირდი, რომ აღარ გვეტკინება ჩვენი ჩატეხილი კლავიშები
და უიმედო მზერების დაჯახების წერტილი,
სადაც არ არის ჰორიზონტი
და სადაც არ აქვს დედამიწას მიზიდულობა...
დღეს რომ სანთლები ჩაიწვება,
ჩვენ აღარ დავიძინებთ და ამოღამებული თვალებით
ვიოცნებებთ უკეთეს მზეზე და ტელეფონის დალეწილ
ჯიხურებზე,
რომლებიც მარტოხელა მწირებივით ისმენენ ჩვენს მოგონებებს
და ტვინებს, სიცივით გალაყინულებს, არ ექნებათ მიზეზი,
რომ კიდევ ერთხელ გვიწამონ სული
და ჩვენ შევეცდებით სამუდამოდ დავაშოროთ ისინი,
როგორიც შეყვარებულები,
რომლებსაც სიკვდილივით შესძულდათ ერთმანეთი
და ველარც წვიმა, უქოლგო ჰაერი და გახდილი ფეხსაცმელები
ვერ შველიან კავშირებს...
დღეს რომ სანთლები ჩაიწვება,
შენ აღარ მკითხავ, რატომ აწამეს იესო,

დამპირდი, რომ აღარ მკითხავ, რატომ მოკლეს მამა
და რატომ გაქრა მას შემდეგ დედა,
რომ აღარ ჩამხედავ ვარდისფერ სათვალეში
ცრემლიანი, წითელი თვალებით,
დამპირდი რა...
დამპირდი, თორემ ჩემი სიტყვები ძალას კარგავენ
და მერე სართულიდან ეშვებიან ახლადდაგებულ ავტოსტრადებზე,
მერე კი ტვინდასხმული და სულწართმეული გვამებივით
ეხეთქებიან ჩემი ტუჩების კიდეებს
და მე ვერასოდეს ვხსნი შენს კითხვებს,
რადგან სიტყვები მიკვდებიან,
როცა ბოლომდე გრძნობენ ჩვენი ინდუსტრიული სიყვარულისგან
შეკოწიწებული სამყაროს სიმძიმეს,
როცა ივიწყებენ შენს დაბადებას და ჩემს გარდაცვალების
მცდელობას,
პეპლები კი,
პეპლები უბრალოდ სამი დღე ცოცხლობენ
და თუ მეორე დღეს არ მოკლეს,
ალბათ ისინიც ისმენენ კითხვებს და ვერასოდეს პასუხობენ,
რატომ დაინახეს შვილებმა მამა ფეხცელზე მიჭედილი...

ჩვენ ტირანები ვართ,
ვკლავთ ყველას, ვინც არ გვეკითხება გარდაცვლილ მამაზე
და ტვინდაქცეულ მეგობრებზე,
რადგან ძალდატანებით ვიბადებით და შექი გვატირებს,
რადგან კივილი უზრდელობაა და ჩურჩულიც - აგრეთვე,
რადგან ქუჩაში კოცნა უხამსობაა და სექსიც - აგრეთვე,
რადგან ტყუილის თქმა უწესობაა და სიმართლისაც - აგრეთვე,
რადგან სიძულვილი სინაღდეა და სიყვარული - არა,
სიყალბეა,
სიყალბეა ჩემი და შენი ყოველდღიური საუბარი,
ხომ ისედაც იცი, რომ ჩემი ფრთები დიდი ხანია დაიმსხვრა

და შენი თვალები დიდხანს ვერ უძლებენ ჩემს ვარდნას...
როგორმე ამოდი სხვა ქვეყანაში,
იქ არ დაგვხვდება კოკა-კოლა და კენტი,
იქ ვერ ისაუზმებ მაკდონალდსში და ვერ ჩაიცვამ ადიდასს,
იქ ვერ უყურებ სიენენს და ვერ ითამაშებ სონის,
მაგრამ გპირდები, გპირდები, გპირდები, რომ
იქ არავინ მოკლავს პეპლებს ორ დღეში
და ბავშვის ტირილიც ჩემსავით შეგიყვარდება.

დღეს რომ სანთლები ჩაიწვება,
შენ აღარ მისურვებ ტკბილ ძილს,
დამპირდი, რომ ჩემს მოსვლამდე მოიკლავ თავს,
რომ ერთხელ მაინც გავბედო სუიციდი
შენს უსულო სხეულზე დამხობილმა,
რომ ერთხელ მაინც მოვექცე ჩემი ტვინის გარედან და
სულის ფიქრით
და ვიკივლო
და ვიკივლო
და ვიკივლო ხმის უნებურად ჩაგლეჯვამდე!
და შენ ხომ იცი, ჩვენ ფრთები გვაქვს და უსასრულოდ ვიფრენთ
იასამნისფერი მიხაკების ქვეყანაში,
სადაც ალბათ არ გვაჩუქებენ მარწყვის ტორტს
და ფორთოხლის წვენს,
მაგრამ პეპლები...
პეპლები მაინც იცოცხლებენ სამუდამოდ
და ჩვენც აღარ გვეტკინება ჩვენი სიტყვები
და ჩვენც აღარ მოგვწყინდება შიმშილი...
და ჩვენ მაინც ვასწავლით შვილებს, რომ
პეპლები უსასრულოდ ცოცხლობენ
და ტკივილებს კი,
ტკივილებს ორ დღეში კლავენ...

* * *

ჯანგაცლილი,
მოუმწიფებელი ფორთოხლისფერი ფორთოხლის ნაგლეჯებით
მკვეთრად მომუჭულ ჭუჭყიან თითებში...
არავისზე ფიქრით...
შიზოიდური, მტვრისგან უპეგადიდებული თვალებით,
გარუჯული პირისახით
და არაფრისმთქმელი ტანსაცმლით...
მწიფე ეროზიებით მხრებზე,
ხუთი წამის წინანდელი ცრემლებით ჩამორეცხილი
და ადგილ-ადგილ დალაქავებული ლოყებით...
და ჯანგაცლილი,
მოუმწიფებელი ფორთოხლისფერი ფორთოხლის ნაგლეჯებით
მეორე ხელის მკვეთრად მომუჭულ ჭუჭყიან თითებშიც,
და ფიქრზე ფიქრით,
ვადაგასული ადამიანი აგერ უკვე მერამდენედ
აუყვა აღმართს...

## მე კოცნა არ ვიცი

– მე კოცნა არ ვიცი...
– გასწავლი, პატარა...
ტუჩები გახსენი, იგრძენი სისველე,
მერე გადმოწურე
მზით სავსე მათარა,
ღვინისფრად დაფერე, იური იცვალე...
მომე-ბაგე-ჯარი
მქიდროდ და ფაქიზად,
თვალები მილულე ჩამავალ მზესავით,
მე გადავიქცევი

ვნებების მარჯიზად,
გულს გადმოგინილებ, დავწყრავ რძესავით
და ისე მოგართმევ,
რომ ბაგე გისველო,
ეგ შენი ლანვები გრძნობების ქარია...
მე ყინვა წამლეკავს,
შენ უნდა მიშველო,
ხარბად ამამღერო სიგიჟის არია...
– მე კოცნა არ ვიცი...
– გასწავლი, პატარა...
ტუჩები გახსენი, ვნებები დაცალე...
შენ ჩემმა სურვილმა
გრიგალს შეგადარა...
ყველაფერს გასწავლი... სულ ცოტა მაცალე...

## ლურჯო ანგელოზებო...

ხედავთ, ჩემ ირგვლივ სხვები დაფრინავენ,
ფრთები მინდა!
პაერი იპობა შვილად და მე ვხედავ წვიმას,
მას ჩემთან მოჰყავს მზე და მზე გადის კედელში...
ჩემი კედლები ინგრევიან,
მე ვამტვრევ რქებს და ტოტებით ვამთელებ მდინარეს...
აქ არავინაა ნაცნობი, არავინ მიწვდის ხელს,
აქ დადიან შავლაბადიანი მამაკაცები,
რომლებსაც არ აქვთ ხელები
და გვლები მათ მაგივრად გამონაზარდი,
ჩემ ქვეშ მიწაა, ხედავთ, აქ სხვებიც დაფრინავენ!
ეს ქაოსია,
ან ჩემი ბავშვობა,
მე არ მახსოვს გზა, რომელსაც გავდიოდი

და მტვერი არ მახსოვს,
ბურუსია... საშინლად მცივა... აქ არავინაა ნაცნობი...
მე მახსენდება თამაზ ბაძაღუა
და მეშინია ჩემი სიფხიზლის...
ახლაც ჩანს ფრთები და მაინც დაფრინავენ ისინი...
და მე ვყვირი:
წამიყვანეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
წამიყვანეთ მალე, ლურჯო ანგელოზებო!
წამიყვანეთ მაღლა, ლურჯო ანგელოზებო!
წამიყვანეთ, მცივა, ლურჯო ანგელოზებო!
ნეკა თითიდან სისხლი მომდის,
დეეეეეეეე, მტკივა, ჩემი სისხლიანი ხელები მტკივა,
სად არის იესო! სადაა იესო,
სისხლი მდის, შენ მომიტან თეთრ სახვევებს და
სისხლს გამიჩერებ,
ხელზე მაკოცებ და ხელს თმებზე მომითათუნებ,
მე გამახსენდება მამა,
რომელიც არასოდეს მყოლია
და შენ დაგიძახებ ასე: იესო, მამა...
მაგრამ არ მახსოვს გზა, რომლიდანაც გელოდი,
რომლითაც მოდიოდი ხოლმე ბავშვობაში,
შობის ღამეზე, როცა თავს ვიმძინარებდი, რომ
საჩუქარი დამხვედროდა
და მხვდებოდა მხოლოდ სიტყვები:
გილოცავ, საჩუქარი ხომ არაა მთავარი, მე შენ მიყვარხარო...
არეულობა...
არეულობა...
აღრეულობა...
ქინქლები დაფანტულად მედებიან თვალის უპეებში,
ცრემლი მიგროვდება და ნაგვის ურნას ვეძებ, რომ დავიმალო...
აქ არავინაა ნაცნობი...
მე მახსენდება ანასტასია

და ველოდები მეტალის პეპლებს, რომ ნატკენი თითით ჩამოვეკიდო
ოქროსფერ მძიმე ფურცლებზე და გავყვე იქ,
საიდანაც გავაგონებ ჩემს ძახილს:
წამიყვანეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
წამიყოლეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
ამაფრინეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
დამიტოვეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
ალო?
ეს ზეცაა?
ზუმერი გაბმულად მიჩვენებს კომერ მდგომარეობას,
საიდანღაც ჩნდებიან თეთრხალათიანი მედიები
და მწვანე ქვებით ანვებიან ტელეფონის ჯიხურს,
რომელშიც წვიმას შევეფარე,
მე კი ისევ უდაბნოში ვხვდები...
აქ გველებია?
მე მეჯავრება ოაზისები!
წყალიც არ მინდა და მხოლოდ მინა...
მინა...
მინა მწამს და ცეცხლი და ცეცხლი და
მომენატრა ცეცხლი მე,
ცეცხლი მე,
მომენატრა მე ცეცხლი!
მე კი ვხვდები, რომ ეს საუკუნე შეკრარი მხოლოდ ფურცლებით...
და დასტებს წლებისას არ აქვთ ბაწრები გადასაჭერად,
მხოლოდ ყულფები...
ყულფები, როგორიც თეთრი მთვარეები
და მე მახსენდება გიო საჯაია
და გავურბივარ ღამის ტარანტულებს...
ჩემი გაქცევაც სხვათაშორისია...
ბილიკები, სადაც ფეხები ენებებიან მინას...
აბსურდული კანონიკაა საზოგადოება,

და საზოგადო ჭეშმარიტება - აბსურდი!
აქ არავინაა ნაცნობი...
ტუჩებს ვეღარ ვიძრობ,
ხედავთ, ჩემ ირგვლივ სხვები დაფრინავენ,
ეს არაა თქვენი დედამიწა...
მგონი გავირინდე...
მგონი მე სახლში ვარ, და დამელოდება??
ზამთარი თოვს და გარშემო სივრცე
ჩემკენ აბრუნებს ნარინჯის თვალებს...
მე მტკივა ლექსი და თოვლი,
მგონი მივფრინავ, კივილი მახრჩობს!
მე ვარ სარდალი თეთრი ზამთრის და ალექსანდრიის!
მე ვარ სარდალი თეთრი ზამთრის და ალექსანდრიის!
მე ვარ სარდალი თეთრი ზამთრის და ალექსანდრიის!
ადამიანებო, მე ოქროს წვიმას მოვიყვან
და თქვენ სამუდამოდ ამოხოცავთ ერთმანეთს
და მხოლოდ პოეტებს დატოვებს მამა...
და მხოლოდ პოეტებს დატოვებს დედა...
და მე მახსენდება ნატო ინგოროყვა
და ვიხდი და ვიცმევ საკუთარ სხეულს,
ვიხდი და ვაცმევ ჰაერს და ხეებს,
როგორც კომპასებს, ვლეწავ იმედებს,
ვლეწავ ნათურებს, ვაგდებ ბილეთებს
და მხოლოდ სისხლის ამოთქმით ვყვირი!
წამიყვანეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
მომენატრა თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
ამიტაცეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!
დამიტოვეთ თქვენთან, ლურჯო ანგელოზებო!

## სული

და უდაბნოს ქვიშიდან წამოსული ნიავის მტევნებით
და არილებით
და დევნით
ლეშგამომშრალი მდინარეებით
და კვდომით
და აუსრულებელი მზერით
და სიტყვით
ვეფერებით სულს
და სიოს მისას
და ქროლვას მისას
და გარემოს ალმოდებული ოცნებებიდან
და ფიქრით
უკალაპოტო სიყვარულით
და ლოცვით
და ლოცვით
და განუგებელი ლანდებივით
ოქროსფერი ფარდებით
და წვიმის ღილაკებით
თაფლით და შოკოლადით
და ფრაზებით
სიტყვებით
ცეცხლით და ლოკოკინებით
და ალუბლებით...
უფალო ჩვენო
და მათო
და შენო
და უფალო სიტყვიერო
და გრძნობიერო
და განცდიერო
ლაქებით ვიმოსებით და ვწვებით...

და მოგვიყევი ზღაპარი და დაგვაძინე
უფალო ჩვენო
და ძაძებით და ჯინსებით
ვთვრებით და ვთბებით
და ვთბებით
და ვთბებით
ტუჩებით
ბაგეებით
თითებით
და ფიქრებით
და ვყვარობთ
და გვიყვარს
ერთი
და ათასი
და ერთმანეთი...
და გამთბარი ხელისგულებით ლოყებზე
ვედებით და ვსრიალებთ
თბილ და თაფლისფერ არომატებში
და ცხელი შოკოლადის ლაგუნებში
და სიმშვიდით
და სიჩუმით
და კოცონთან დატოვებული ვნებებით
და არდამნვარი იმედებით
და მუქი ფერისფერი ფოთლებით
და ჯინსის ქურთუკებით
და ქალამნებით
და თოლიებივით ფაფუკი ნამნამებით
თბილი ლოგინიდან აფრენილი სულით...
და სული კოსმოსია ღრმა
და სული კოსმოსია ღრმა...
და სული კოსმოსია ღრმა...
და ვიბადებით

გალაქტიკებში და თივის ზვინებში
და ჩალისფერ ქალაქებში
და უფალო ჩვენო
და მათო
და შენო
და უფალო მეგობარო
და მამაო
და სულო ჩვენო უფალო
წაგვიყვანე თბილ სახლში
და ქოხში
და ტაძრებში სიყვარულის
და შემოგვიკრიბე უფალო შენს გარშემო
ცხელ ბუხართან
წვიმიან საღამოს და
ცეცხლთან
და ფიქრებთან ჩვენთან
და ნაგვიკითხე ხლაპრები
და გრძნობები
და ვთვრებით საკმევლის სუნით
და სასუფევლის ფერებით
და ვთბებით ბუხართან უფალო
და შენს კალთაზე მოკალათებულები
და ვთბებით
და შენი ხელისგულები
მეგობრების ჩვენთა
და ძმების ჩვენთა
და მამების ჩვენთა
გვითბობენ ლოყებს და თითებს
და ვთბებით უფალო
და მოგვეფერე უფალო ჩვენო
და მათო
და შენო

და უფალო გრძნობიერო
და მოვეფეროთ ჩვენ ერთმანეთს
და გვაკოცე უფალო შუბლზე
რადგან მამა ხარ და ძმა ხარ და მეგობარი ხარ
და სული ფოთოლცვენაა
და სული შენია და კოსმოსია და მესიაა
და სული კოსმოსია ღრმა
და ვთბებით
და ვთბებით
უფალო,
ჩვენ შენ გვიყვარხარ!

## გამარჯვებულები და ნომინანტები:
### პროზა

**პირველი პრემია**
შალვა ჯოხარიძე - „კასიოპეას ეფექტი“
სოფია კენჭიაშვილი - „პროტესტი - მე აღარ!“

**მეორე პრემია**
გიორგი ბიჩინაშვილი - „ხილვა“

**მესამე პრემია**
ალექსანდრე ხარანაული - „ჟოლონაჭამი ბიჭი“

### პოეზია

**პირველი პრემია**
ელენე ფასური - „დრო“

**მეორე პრემია**
მარიამ ამირეჯიბი - „მთვარის ორივე მხარე“

**მესამე პრემია**
ალექსანდრე ლორთქიფანიძე - „ლურჯო ანგელოზებო...“

**საუკეთესო მინიატურა**
გიორგი ჯამბურია - „ამბის ნაგლეჯი“

**სპეციალური პრემია** /ეროვნებით არაქართველი მონაწილისათვის/
ეგორ კაზარიანი, ზორია ბეზოიანი, ოსანა ზოროღიანი, ასთხიკ აღვაჯიანი, მიხეილ კრუპიცკი

## ნომინაციები

**საინტერესო სათაურები**
ნინო ჩანტლაძე - „ჩემი ცხოვრების ამინდები“
**ნივთების ამბოხი**
თეონა ბიჩინაშვილი - „პანაშვილი“

**განსხვავებული თვალსაზრისი**
ნიკოლოზ რაზმაძე - „მე ადამიანი ვარ!“

**საუკეთესო ზღაპარი**
სოფიკო დაუშვილი - „იაკამი“

**თაობისათვის აქტუალური თემა**
თამუნა კარელიძე - „მიცნობდეთ, ეს მე ვარ!“

**კინოსცენარი**
მაიკო მესტუმრე - „ბლუზი წვიმაში“

**დიალოგი**
ივანე ღლონტი - „აჩი“

**სოციალური თემა**
ნატო სიხარულიძე - „ვიღაცამ ხე მოჭრა“

**საინტერესო ეპითეტები**
მარიამ კარანაშვილი - „გუდა ლეღვის დილა“

**რიტმული პროზა**
ქეთი მეფარიძე - „გამო“

# სარჩევი


ელენე ფასური /თბილისი, 1988 წ./
5 გვ.

ქეთი კალაძე /თბილისი, 1991 წ./
10 გვ.

ნანა ჭურღულია /წალენჯიხა, 1989 წ./
11 გვ.

გიორგი იაგორაშვილი /ყვარელი, 1988 წ./
12 გვ.

მაიკო მესტუმრე /თბილისი, 1991 წ./
14 გვ.

ანა მარტიაშვილი /თბილისი, 1990 წ./
17 გვ.

სოფო მიქიაშვილი /თბილისი, 1988 წ./
18 გვ.

ეთერ გავაშელიშვილი /თბილისი, 1991 წ./
24 გვ.

ლუკა გორდაძე /თბილისი, 1994 წ./
26 გვ.

მარიამ გიორგაშვილი /თბილისი, 1989 წ./
30 გვ.

ეგორ კაზარიანი /თბილისი, 1994 წ./
33 გვ.

მაია ფაჯიშვილი /თბილისი, 1988 წ./
33 გვ.

მარიამ ამირეჯიბი /თბილისი, 1989 წ./
37 გვ.

ალექსანდრე ლორთქიფანიძე /თბილისი, 1988 წ./
46 გვ.

„ალუბლობა 2007“-ის გამარჯვებულები და ნომინანტები
58 გვ.

## სპონსორები და თანამდგომი ორგანიზაციები:

- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემების შენარჩუნების ფონდი

- საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

- პირველი ელექტრონული გამომცემლობა

- კავკასიური სახლი

- წიგნის მაღაზიათა ქსელი „პარნასი“

- გამომცემლობა „საარი“

- „წიგნის სახლი“ და ნინო ქადაგიძე-ჟვანია

- ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და მაღაზია „სანტა ესპერანსა“

- გამომცემლობა „დიოგენე“

- გამომცემლობა „ლიტერა“

- გამომცემლობა „ლოგოს პრესი“

- გამომცემლობა „ნეკერი“

- გამომცემლობა „ბაკმი“

- გამომცემლობა „დეა“

- ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“